Natela Zurabishvili

From: Alexi Zhvania
Sent: 20 August, 2020 17:45
To: Natela Zurabishvili
Subject: FW: ინფორმაციის გამოთხოვა პროექტთან დაკავშირებით

reagirebisaTvis

From: info [mailto:Info@csb.gov.ge]
Sent: Thursday, August 20, 2020 5:02 PM
Subject: ინფორმაციის გამოთხოვა პროექტთან დაკავშირებით

მოგესალმებით,

მოგახსენებთ, რომ სსიპ-საჯარო სამსახურის ბიურო, USAID-ის პროგრამის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა" (GGI) მხარდაჭერით, საჯარო სამსახურში კრიზისების მართვის მიმართულებით ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანია საჯარო სამსახურში კრიზისების მართვის შესაძლებლობების გაუმჯობესება. პროექტის ფარგლებში დაქირავებული საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები გააანალიზებენ კრიზისის დროს საჯარო დაწესებულებებში არსებულ გამოწვევებს, შეისწავლიან საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს.

საჯარო დაწესებულებებში არსებული პრაქტიკის შესწავლის პირველ ეტაპზე დაგეგმილია სამაგიდე კვლევის ჩატარება და ამ მიმართულებით საჯარო დაწესებულებებში არსებული დოკუმენტაციების შესწავლა/ანალიზი. ამ მიზნით, შემთხვევითი შერჩევის პრინციპის საფუძველზე, შერჩეულ იქნა 12 საჯარო დაწესებულება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ **<u>2020 წლის 4 სექტემბრამდე</u>** მოგვაწოდოთ შემდეგი დოკუმენტაცია/ინფორმაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

- ნებისმიერი დოკუმენტი/ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია საგანგებო სიტუაციის დროს პერსონალის მოქმედებასთან (პრევენცია, მზადყოფნა, რეაგირება); (მაგალითად, ე.წ. სამობილიზაციო გეგმები, ინსტრუქციები, თათბირის ოქმები ან ჩანაწერები, სასწავლო სახელმძღვანელოები ან სხვა მასალები);
- კრიზისის დროს დაწესებულების საქმიანობის ორგანიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტი/ინფორმაცია (მაგალითად, დისტანციური მუშაობის წესი);
- ნებისმიერი დოკუმენტი/ინფორმაცია, რომელიც ასახავს პერსონალის მიერ საგანგებო სიტუაციის დროს გაწეული სამუშაოს (მოქმედების) აღწერას, ანგარიშს, მოხსენებას, შეფასებას;
- ინფორმაცია საჯარო სამსახურის სისტემაში პერსონალის მართვის ან შიდა კომუნიკაციის მიზნით გამოყენებული ტექნოლოგიური საშუალებების შესახებ (პროგრამული უზრუნველყოფა, აღჭურვილობა დისტანციური მუშაობისთვის და სხვა);
- ინფორმაცია საგანგებო სიტუაციის მართვის შესახებ ტრენინგში, სწავლებაში ან ნებისმიერი ფორმის სიმულაციურ ვარჯიშში მონაწილების შესახებ.

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ დაუკავშირდეთ სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროს საჯარო სამსახურში ადმაინური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსს გვანცა ბესელიას (ტელ: 558168757, gbeselia@csb.gov.ge).

დიდი მადლობა თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროს საჯარო სამსახურში ადმაინური რესურსების მართვის დეპარტამენტის

ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. 7

2 19 27 27